ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N72

ქ.თბილისი 29 დეკემბერი, 2020 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე	გულია გოცირიძე
ოთარ გრიგოლია	ლევან დავითაშვილი
ლევან დარახველიძე	გიორგი დოხტურიშვილი
ანა ლაშხი	ზაზა მამალაძე
მიხეილ მესხი	თინათინ ნიბლოშვილი
შალვა ოგბაიძე	ვაჟა ოთარაშვილი
ლევან ჟორჟოლიანი	დათო რურუა
ნინო რუხაძე	რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე	ბორია ფირცხელიანი
ვახტანგ შაქარიშვილი	გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე	ვლადიმერ ძნელაძე
დავით ჭელიძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)	ილია ჯიშკარიანი
ჯაბა ჯიშკარიანი	ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მაკა ნასრაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი დავით ჩანქსელიანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით ჩანქსელიანი

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დროებითი დარიცხვის წესის განსაზღვრის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჩანქსელიანი

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: მაკა ნასრაშვილი

9. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ივლისის N61-88 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით გადაცემული, უძრავი ქონების (ჯიხურის განთავსების მიზნით) მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, დაბა კორჯორი, იუნკერთა ქუჩა, N37-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.342.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, ს/ქ N43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი N120-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV, კვარტალი I, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.004.01.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარელი N107ა, (ნაკვ. 024/008)-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.024.008.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მეფუტკრეობის ქუჩა, N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გურამიშვილის N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.129.050.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქ.თბილისში, სოფელ დიღომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ.: N01.72.14.034.711; ს/კ.: N01.72.14.034.238; ს/კ.:

N01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5615 კვ.მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის /მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“ (ს/კ.: 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

20. „ქალაქ თბილისში, ო.კაპანაძის ქუჩა N4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.03.058.062; N01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.18.847) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცებიდან გამომდინარე, საჭიროა წარმოდგენილი წესების ხელახალი დამტკიცება. რაც შეეხება ქვეპროგრამის მაჩვენებლებს, რჩება უცვლელი, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ცვლილება, რომლის თანახმადაც „C ჰეპატიტის“ პროგრამას აღარ განახორციელებს მერია, რადგან დაფინანსება სრულად გადავიდა ჯანდაცვის სამინისტროში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც, თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცებიდან გამომდინარე, საჭიროა წესების ხელახალი დამტკიცება. ქვეპროგრამის მაჩვენებლები და ბიუჯეტი ამ შემთხვევაშიც რჩება უცვლელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცებიდან გამომდინარე, საჭიროა წესის ხელახალი დამტკიცება და ამავდროულად წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომლის მიხედვითაც, სიის დეკემბერში დამტკიცების შემთხვევაში, სია აღარ მტკიცდება იანვარში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა დავით ჩანქსელიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ისევე, როგორც წინა წლებში, დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებას განახორციელებს შპს „თბილსერვის ჯგუფი“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დროებითი დარიცხვის წესის განსაზღვრის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა დავით ჩანქსელიანმა და განმარტა, რომ ქვეყანაში არსებული „ახალი კორონა ვირუსის - COVID-19“ პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვების გამო, დედაქალაქში არსებული კვების ობიექტები მუშაობენ შეზღუდვებით, კერძოდ, მომსახურება ხორციელდება მხოლოდ გატანის სერვისით. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 2020 წლის პირველი დეკემბრიდან 2021 წლის პირველ თებერვლამდე პერიოდში, მათთვის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა მოხდება სამზარეულოს კვადრატულობის მიხედვით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს კვების ობიექტების გადასახადის ოდენობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება, პანდემიის პერიოდში ან სხვა გაუთვალისწინებელ სიტუაციაში, მასთან შეთანხმებით, განხორციელდეს ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და

ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, ტაქსის მძღოლები, რომლებიც მომსახურებას ახორციელებენ მარჯვენა საჭიანი ავტომობილით, საქმიანობის გაგრძელებას შეძლებენ 2021 წლის ბოლომდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მაკა ნასრაშვილმა და განმარტა, რომ 2021 წელს თბილისი იქნება „მსოფლიო წიგნის დედაქალაქი“, რომლის საფუძველზეც თბილისში ჩატარდება ქვეყნისთვის უდიდესი კულტურული და საგანმანათლებლო მნიშვნელობის ღონისძიება და აქედან გამომდინარე, იქმნება ა(ა)იპ, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ხსენებული ღონისძიების მაღალი სტანდარტით ჩატარებაზე.

თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ 2021 წელი ძალიან მნიშვნელოვანია თბილისისთვის, რაც დიდ პასუხიმგებლობასთან ერთად, დიდი გამოწვევაცაა და მადლობა გადაუხადა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურს, „ბიბლიოთეკების გაერთიანებას“ და ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც უდიდესი შრომა ჩადეს იმაში, რომ 2021 წელს, თბილისს ჰქონდეს მთავარი კულტურული ცენტრის სტატუსი.

მარიკა დარჩიამ განაცხადა, რომ „მსოფლიო წიგნის დედაქალაქის“ სტატუსის მოპოვება არ არის ადვილი და მადლობა გადაუხადა ყველა სამსახურს და ადამიანს, ვინც ჩართული იყო იმ პროცესებში, რომლის შედეგადაც თბილისში მთელი წლის განმავლობაში, იქნება უდიდესი კულტურული აქტივობა.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ ხსენებული ღონისძიების ჩატარება თბილისში მისასალმებელია, რადგან მნიშვნელოვანი და ღირებულია ქალაქის კულტურული ცხოვრებისთვის. მისი თქმით, აუცილებელია ამ ღონისძიებაში „მწერალთა კავშირის“ ჩართვა და ქართველი მწერლებისთვის გარკვეული ადგილის უფასოდ გამოყოფა წიგნის ბაზრობის მოსაწყობად, რათა თავისუფლად შეძლონ თავიანთი ნამუშევრების რეალიზება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255

დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ივლისის N61-88 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე განსაზღვრულია ჯიხურების განთავსების შეზღუდვის არეალები, თუმცა არსებობს გარკვეული გამონაკლისები, რომელშიც, წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, შევა საქართველოს ფოსტაც.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით გადაცემული, უძრავი ქონების (ჯიხურის განთავსების მიზნით) მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ქვეყანაში არსებული „ახალი კორონა ვირუსის - COVID-19“ პანდემიიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით, იმ ჯიხურებს, რომლებსაც გაუვიდათ ან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით გადის ხელშეკრულების ვადა, ეძლევათ შესაძლებლობა, რომ უსასყიდლოდ გააგრძელონ ხელშეკრულების ვადა 2021 წლის პირველ ივლისამდე და იქიდან გამომდინარე, რომ 2020 წლის დეკემბერში და 2021 წლის იანვარში გათავისუფლებული არიან იჯარის გადასახადის გადახდისგან, იჯარის საფასურის გადახდა მოუწევთ 2021 წლის პირველი თებერვლიდან პირველ ივლისამდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, დაბა კორჯორი, იუნკერთა ქუჩა, N37-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.342.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 76 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ს/ქ N43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი N120-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 482 კვ.მ. ფართის გადაცემა ათი ოჯახისთვის, რომლებიც 2003-2005 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV, კვარტალი I, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.004.01.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 86 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1996 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარელი N107ა, (ნაკვ. 024/008)-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.024.008.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 111 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 15 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მეფუტკრეობის ქუჩა, N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 107 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 20 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გურამიშვილის N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.129.050.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 93 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქ.თბილისში, სოფელ დიღომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ.: N01.72.14.034.711; ს/კ.: N01.72.14.034.238; ს/კ.: N01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5615 კვ. მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის /მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის" (ს/კ.: 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანია, დიდ დიღომში გამოყოფილ სამ მიწის ნაკვეთზე, მშენებლობის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტს, შემდგომში კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 58 პირისთვის გადაცემის მიზნით, გადასცემს 4220 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს, თეთრი კარკასის მდგომარეობაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვების კორექტირების საკითხი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენცმა" მიმართა თხოვნით, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის

ნაწილი, რომელიც შედის თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, გადაეცეს გარდაბნის მუნიციპალიტეტს.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხზე წარმოება მიმდინარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტშიც, სადაც უახლოეს სხდომაზე მიღებული იქნება ერთობლივი შუამდგომლობა, რაც გადაეგზავნება სამთავრობო კომისიას, რომელიც, თავის მხრივ, დადგენილების პროექტს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. აღსანიშნავია, რომ არსებული რეალობით, ზემოთ ხსენებული ტერიტორია, საქართველოს პარლამენტის მიერ, 2006 წელს დადგენილი საზღვრებით, შედის გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

19. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-032035964-03 თარიღი: 24.12.2020 და N12-032036333-03 თარიღი: 28.12.2020 წარმოდგენილი წინადადებები, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დადებითად შეფასდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში, ო.კაპანაძის ქუჩა N4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.03.058.062; N01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის ფართია 28000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია სპეცზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით და ტერიტორიის განვითარება დაბალი ინტენსივობის განაშენიანებით, რომლის საერთო სამშენებლო მოცულობა იქნება 30000 კვ.მ. კერძოდ, გათვალისწინებულია ოთხსართულიანი, 15 მეტრის სიმაღლის საცხოვრებელი სახლების განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.18.847) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიის გამიჯვნა 15 საკადასტრო ერთეულად და არსებული ზონირების - საცხოვრებელი ზონა 1-ის შესაბამისად, თხუთმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განაშენიანება, რომლის საერთო სამშენებლო მოცულობა იქნება 4600 კვ.მ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ დადგენილების პროექტით ხდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციების მიმართულებით არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წლის დღესასწაული, მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი მუშაობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 9 დადგენილება და 12 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი